**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გიტარა

გიტარა

გიტარა (ესპ. guitarra

საქართველოში ნაწილობრივ შეიცვალა (რე, სი, სოლ, რე, დო, სოლ, რე) და შეიქმნა რამდენადმე განსხვავებული წყობა, რ-საც ზოგჯერ „ქუთაისურსაც" უწოდებენ. საქართველოში პროფ. მუსიკაში გ. გამოიყენეს მ. ბალანჩივაძემ (რომელიც ბრწყინვალე გიტარისტი იყო) ოპერა „თამარ ცბიერის" შექმნისას და ვ. დოლიძემ (აგრეთვე ბრწყინვალე გიტარისტმა) ოპერაში „ქეთო და კოტე". გ-ის თანხლებით მღეროდნენ ქართ. სიმღერის კორიფეები: ვ. წერეთელი, დები იშხნელები, ვ. ძაგნიძე და შ. ჩხიკვაძე , ი. გურგულია და სხვ.; ცნობილი პედაგოგ-შემსრულებლები – ვ. გიორგაძე, ი. ქავთარაძე, გ. ესებუა, ა. ნიკოლაიშვილი, თ. გამიდაძე, გ. ცაგარეიშვილი, ო. რამიშვილი, ტ. ბერიმელიძე, გ. ბარბაქაძე; საგიტარო ხელოვნ. განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით: ს. ნაცვალაძეს, გ. და ჯ. ბაღაშვილებს; ჯაზური (და არა მარტო ჯაზური) მუს. შესანიშნავი შემსრულებელია თ. ყვითელაშვილი (ელექტროგიტარა).

*ლიტ.*: თ უ შ ი შ ვ ი ლ ი გ., გიტარის კვალდაკვალ, თბ., 1981.

***გ. თუშიშვილი***